

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის  
სათათბიროს სხდომის  
**ო ქ მ ი №38**

27.03.2015

**სხდომას ესწრებოდა 13 წევრიდან 8**

### **დღის წესრიგი**

1. ფაკულტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ (გ. მჭედლიშვილი)
2. ფაკულტეტის სტრუქტურული ცვლილების შესახებ (ნ. წერეთელი)

მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი:** მან აღნიშნა, რომ 2015 წელს პირველ რიგში დაგეგმილია ტენდერის ჩატარება მე-10 სასწავლო კორპუსის გათბობის მიზნით. აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად ფაკულტეტის ბიუჯეტში ჩასმულია 200 000 ლარი, თუმცა ხარჯთაღრიცხვით ჩასატარებელი სამუშაოს რაოდენობა განისაზღვრება 280 000 ლარით. როგორც მენეჯერმა მიუთითა 80 000 ლარი უნდა იქნეს მოძიებული სხვა მუხლებიდან. თუმცა ტენდერით დაკლების შემდეგ გამონთავისუფლებული თანხა კვლავ იქნება მიზნობრივად გამოყენებული, გარდა ამისა ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით, საჭირო შეიქმნა ბიუჯეტის მუხლებში ცვლილებების შეტანა და მოითხოვა ცვლილებების განხორციელება წარმოდგენილი ვარიანტის მიხედვით (იხ. დანართი).

**აზრი გამოთქვეს პროფესორებმა:** მ. მაისურაძე, ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე ლ. გვასალია.

მათ მხარი დაუჭირეს ფაკულტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას.

**დაადგინეს** ეთხოვოს ფაკულტეტის საბჭოს განახორციელოს შესაბამისი ცვლილება ბიუჯეტში წარმოდგენილი სახით

დადგენილება მიღებულია ერთხმად

**მოისმინეს: პროფ. ნ.წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სტრუქტურული ცვლილების შესახებ საბჭომ ერთხელ უკვე იმსჯელა, როდესაც იხილებოდა ქიმიის დეპარტამენტის შექმნის საკითხი. ძირითადი მიზეზი, რის გამოც საბჭომ მაშინ უარი თქვა აღნიშნული დეპარტამენტის შექმნაზე

იყო ის, რომ დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის საკითხი იყო ბუნდოვანი. 2015 წლის 20 მარტს, სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა დებულება სტუ-ს ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის შესახებ, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის უფროსს ნიშნავს რექტორი, გარკვეული ფილტრაციის შემდეგ. კერძოდ, დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს დეკანს, ფაკულტეტის საბჭოს, საინიციატივო ჯგუფს და თვით კანდიდატს. აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, მხოლოდ ერთ კანდიდატს წარუდგენს რექტორს დასანიშნად.

ნ. წერეთლის განმარტებით, სტუ-ს წესდებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავენ ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს. აღნიშნულის ფონზე აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის დადგენილება სარეკომენდაციო ხასიათისაა, რათა არ დაირღვეს კოორდინაცია ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტების დებულებებს შორის. ანალოგიური სარეკომენდაციო დადგენილება აკადემიური საბჭოს მიერ, ფაკულტეტების დებულების შექმნისათვისაც იქნა მიღებული. ახლო მომავალში ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავენ ფაკულტეტის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს. ამ დებულებაში თავის ასახვას ჰპოვენ დეპარტამენტის დებულებაც, და ყველას მიეცემა საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება.

ნ. წერეთელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სტრატეგიული მოსაზრებიდან გამომდინარე, სტუ-ს ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ ჩვენ ფაკულტეტზე უნდა შეიქმნას ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დეპარტამენტი.

რექტორის ინფორმაციით, სახელმწიფო 2015-16 სასწავლო წლისთვის დააფინანსებს 50 სტუდენტს ქიმიის მიმართულებით და დეპარტამენტის შექმნის შემთხვევაში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. თავმჯდომარემ აღნიშნა აგრეთვე, რომ ფაკულტეტი არასდროს ყოფილა ზოგადი დეპარტამენტების შექმნის წინააღმდეგი და, რომ ჩვენმა ფაკულტეტმა თავის დროზე ამ მოთხოვნით მიმართა აკადემიურ საბჭოს, როდესაც სტუ-ში ზოგადად იხილებოდა დეპარტამენტების შექმნის საკითხი, თუმცა ადმინისტრაციამ გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე თავი შეიკავა.

სტუ-ს წესდებაში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, არჩეულ პერსონალს მინიჭებული აქვს საუნივერსიტეტო პროფესორის აკადემიური თანამდებობა. აღნიშნული ცვლილებით, ახლად გახსნილ აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შეიქმნა საბჭო და მათ საშუალება მიეცათ -თავისთან შექმნან ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დეპარტამენტები, რაც

არასწორად მიმაჩნია, რადგანაც ტრადიციულად ქიმია და ეკოლოგია ყოველთვის ფუნქციონირებდა ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჩვენ ფაკულტეტზე შეიქმნას ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების ორი დეპარტამენტი:

1. ქიმიის დეპარტამენტი;
2. გარემოს დაცვის ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი.

**აზრი გამოთქვას პროფ. ზ. კოვზირიძე:** მან მხარი დაუჭირა ფაკულტეტზე ორივე დეპარტამენტის შექმნის საკითხს. აღნიშნა, რომ დეპარტამენტის უფროსობის ყველა კანდიდატი ვალდებული უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგინოს დეპარტამენტის განვითარების 4 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ფაკულტეტის საბჭომ ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით რეკომენდაცია უნდა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. დანარჩენ კანდიდატებს კი აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის, ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის შესახებ დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პუნქტი "გ" -ს მიხედვით უნდა მიეცეთ უფლება წარდგენილი იქნენ აკადემიური საბჭოს წინაშე. ამასთან აუცილებელია თითოეულმა კანდიდატმა დადოს პირობა, რომ შეინარჩუნებს დეპარტამენტში შემავალი ყველა ყოფილი კათედრების სტრუქტურულ, სასწავლო-მეთოდურ, სამეცნიერო და სამეურნეო დამოუკიდებლობას.

**პროფ. ნ. კუციავა:** მან მხარი დაუჭირა ორივე დეპარტამენტის შექმნას და მან ასევე აღნიშნა, რომ დეპარტამენტის უფროსობის ყველა კანდიდატი ვალდებული უნდა იყოს თავის სამოქმედო გეგმით წარდგეს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

**პროფ. ზ. ლომსაძე:** 2015 წლის 20 მარტის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ სტუ-ს ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის შესახებ დაამტკიცებული დებულება არის სარეკომენდაციო ხასიათის და ფაკულტეტის საბჭომ მასში უნდა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

**დაადგინეს:** ეთხოვოს ფაკულტეტის საბჭოს შექმნას:

1. ქიმიის დეპარტამენტი;
2. გარემოს დაცვის ინჟინერიისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** პროფ. ნ. წერეთელი: მან აღნიშნა, რომ მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის უფროს, პროფ. დავით ნოზაძეს მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ფაკულტეტმა გაუწიოს ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით ხელზე.

**აზრი გამოთქვას პროფესორებმა:** ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე ზ. ლომსაძე, მ. მაისურაძე, მ. მშვილდაძე, მათ მხარი დაუჭირეს დ. ნოზაძისათვის ფინანსური დახმარების გაწევის საკითხს.

**დაადგინეს:** პროფ. დ. ნოზაძეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოეყოს 1000 ლარი ხელზე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე